

გლობალიზაცია და ინსტიტუციონალური ცვლილებები
საქართველოსა და პოლონეთის შედარებითი ანალიზი

მარიამ შენგელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ შენგელია

20 ივნისი

აბსტრაქტი

გლობალიზაცია ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში. იმ საზოგადოებრივ წყობაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის საკითხი ძალიან აქტუალურია. მან სახე უცვალა მსოფლიო პოლიტიკის ბუნებას და დღემდე განაგრძობს მის შეცვლას, გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში სერიოზულად გააქტიურდა. გლობალიზაციის პროცესს, თან ახლავს კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტიტუტების ცვლილება. სწორედ ამ მოვლენას ეხება წარმოდგენილი ნაშრომი, რომელშიც მიმოვიხილე ინსტიტუციონალური ცვლილებები, საქართველოსა და პოლონეთის შემთხვევების ანალიზის საფუძველზე. საკვლევ ქვეყნებად, საქართველო და პოლონეთი ავირჩიე, იმიტომ რომ ორივე მათგანი იყო სოციალისტური ქვეყანა და ჩემი აზრით, საინტერესოა იმის კვლევა თუ როგორ განაგრძეს განვითარება და რა შედეგებს მიაღწიეს კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ, გლობალიზაციის ეპოქაში.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებული იყო შემთხვევის ანალიზი (Case Study) და დოკუმენტების ანალიზი (Content Analysis). კვლევის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს გლობალიზაციის გავლენა საქართველოსა და პოლონეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინსტიტუტებზე და დაადგინოს ხდება თუ არა ამ ინსტიტუტების ცვლილება გლობალიზაციის შედეგად. ჰიპოტეზაა აცხადებს, რომ გლობალიზაციას და მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრაციასთან ახლავს ქვეყნის შიგნით პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტების იმგავრი ცვლილება, რომელიც ხელს უწყობს და აიოლებს სახელწიფოს ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან.

კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოტეზის ვალიდურობა. საქართველოსა და პოლონეთში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ტრანსფორმაციის პროცესებს, თუმცა ეს პროცესი ორივეგან ერთნაირი წარმატებით არ მიმდინარეობდა, პოლონეთმა

განვითარებისა და ინსტიტუციონალური ცვლილებებების უფრო სწრაფი და ეფექტური გზა აირჩია და მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა მაინც მიაღწია სასურველ მიზანს. დღეს პოლონეთი ევროკავშირის საკმაოდ გავლენიანი და განვითარებული წევრი სახელწიფოა, საქართველოში კი პროცესები გაცილებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს, ადგილი აქვს სხვადასხვა ხელისშემშლელ გარემოებებს. მიუხედავად ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებისა, საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტიტუტების რეფორმირება აახლოებს დანარჩენ მსოფლიოსთან და ქვეყანას თავსებადს ხდის საერთაშორისო საზოგადოებასთან, კერძოდ მაღალგანვითარებულ დასავლურ სამყაროსთან.

მადლობა

მინდა გამოვხატო მადლიერება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, ქალბატონი ნინო ფავლენიშვილის მიმართ, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისა და ორმხრივი თანამშრომლობისათვის. მოხარული ვარ, რომ მომიწია მასთან მუშაობა და მინდა ავლნიშნო, რომ ეს იყო უაღრესად სასიამოვნო და შემეცნებითი პროცესი. ქალბატონი ნინო გახლდათ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩემი მოტივატორი. მას აქვს საოცარი უნარი ყველაზე სტრესულ სიტუაციაშიც მოძებნოს გამოსავალი და მისცეს ადამიანს საქმის კეთების სტიმული. ქალბატონი ნინო არის ძალიან ყურადღებიანი და ნებისმიერ დროს მზად იყო რეკომენდაციებისა და რჩევებისათვის, რომ არა ქალბატონი ნინოს ღრმა პროფესიონალიზმი, რთული სათქმელია როგორი სახე ექნებოდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს.

მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ქალბატონ ნინოს და ვუსურვო წარმატებები პროფესიულ საქმიანობაში.